

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის
საფუძვლები საზღვარგარეთის ქვეყნებში

რუსეთის ფედერაციის პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა

კატეგორია - სისხლი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული

შესავალი

დღევანდელი პრეზენტაციის თემა გახლავთ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (მოკლე მიმოხილვა) და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. დღეს ვისაუბრებთ რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომისა და დარღვევათა კონკრეტულ სახეებზე, რომლებიც გამოვლენილ იქნა კვლევის ჩატარების პროცესში რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა სადისციპლინო ორგანოების მიერ დისციპლინური საქმეების განხილვის პრაქტიკის განზოგადებისას. დარღვევები დაჯგუფებულია 28 (ოცდარვა) კატეგორიად და მოიცავს, როგორც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, ისე მოსამართლის არამართლზომიერ ქმედებებს არასამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, სახელმწიფო ორგანოებთან ან სხვა პირებთან ურთიერთობაში. როგორც კვლევამ აჩვენა, რუსეთის პრაქტიკა ძალიან ჰგავს საქართველოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების აქამდე არსებულ პრაქტიკას, რომელიც მოიცავს 2004-2013 წლების პერიოდს და რომელიც პრაქტიკის განზოგადებულ ვერსიას ასევე წარმოგიდგენთ დღევანდელ ღონისძიებაზე. ასეთი მსგავსება ალბათ არც არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის, არცთუ შორეულ ისტორიულ წარსულს. კერძოდ, იმ ძირითად ფაქტორებს, როგორცაა საბჭოთა კავშირის პირობებში არამართო საერთო გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და კულტურული სივრცის, არამედ სასამართლო თვითმმართველობის, მოსამართლეთა სტატუსისა და სასამართლო სისტემის მარეგულირებელი ერთიანი სამართლებრივი ბაზის არსებობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითოეულმა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომაც თავისი საკუთარი სასამართლო სისტემა და კანონმდებლობა შექმნა, მათ შორის დისციპლინური სამართალწარმოების განსხვავებული დოქტრინა, რომელშიც შედის დისციპლინურ გადაცდომათა სახეები, სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები და ა.შ. როგორც რუსეთის ფედერაციის პრაქტიკის კვლევამ აჩვენა, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიების მიერ მოსამართლის ბრალეულად ცნობა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაშიც კი ხდება, როცა მოსამართლის მიერ დაშვებული დარღვევა აღმოიფხვრება ზემდგომ ინსტანციაში. მსგავსი პრაქტიკა იყო ასევე დანერგილი ქართულ დისციპლინურ სამართალწარმოებაში 2012 წლამდე. რაც შეეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობის საფუძვლებს, მოსამართლეთა მიერ საქმის წარმოების პროცესში დაშვებულ დარღვევათა თითქმის 80% მოდის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევაზე, ხოლო 20% არის სამოსამართლო ეთიკის და სხვა ნაკლებად მძიმე ხასიათის დარღვევები. აქვე, მეტი თვალსაჩინოებისათვის მინდა მოვიშველიო გასაჯაროებული სტატისტიკური მონაცემები და გაუწყოთ, რომ მაგალითად, "პრიმორსკის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მონაცემებით, აღნიშნული სადისციპლინო ორგანოს მიერ 2014 წელს განხილული 245 დისციპლინური საქმიდან 135 შეეხება საპროცესო და სხვა სამართლებრივი ნორმების დარღვევას, 75 – სამართლებრივი აქტების მხარეებისათვის დაგვიანებით გადაცემას, 22 – მოსამართლის არაეთიკურ ქმედებას პროცესის მონაწილეებთან მიმართებაში, 4 – კორუფციულ სამართალდარღვევას, ხოლო 6 საქმე – მოსამართლის უღირს საქციელს სასამართლოს გარეთ.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის ყველაზე მეტად გავრცელებული სახე არის კვლავ კანონის ნორმათა უხეში და სისტემატიური დარღვევა (რაც საქართველოს საკანონმდებლო სივრციდან ამოღებულია 2012 წლის 27 მარტიდან, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე), მიუხედავად იმისა, რომ "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერაციის კანონში ტერმინი - *კანონის უხეში დარღვევა* - არ არის მითითებული დამოუკიდებლად დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველთა ჩამონათვალში, არამედ მოცემული კანონის 12.1 მუხლის მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის

¹ Квалификационные коллегии судей (ККС) ;

საფუძველს წარმოადგენს ზოგადად ამ კანონისა და ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა.² მართალია, 2013 წლის 5 ივლისს კანონში განხორციელებული ცვლილებით მეტნაკლებად დაკონკრეტდა მოცემული ნორმა, კერძოდ: *დისციპლინური გადაცდომა, ე.ი. ბრალეული ქმედება (ან უმოქმედობა) ჩადენილი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების პროცესში ან არასამსახურებრივი საქმიანობისას, რასაც შედეგად მოჰყვა ამ კანონის დებულებათა და სრულიად რუსეთის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული სამოსამართლო ეთიკის კოდექსის დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მოსამართლის რეპუტაციას*, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები მაინც არასრული და ბუნდოვანია, რაც საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით "რისკის შემცველია და სადისციპლინო ორგანოებს აძლევს ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და ბერკეტსაც იმისათვის, რომ ნებისმიერი საფუძველით დისციპლინურ პასუხისმგებაში მისცენ მოსამართლეები, რაც ამცირებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხს და ქმნის მოსამართლეთა გაუმართლებელი დევნის რისკებს."³ (კანონში განხორციელებული ცვლილებით დისციპლინურ გადაცდომათა სახეებს: *გაფრთხილებას და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, დაემატა მესამე სახე – შენიშვნა*).⁴

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძველების სიმწირით რუსეთი არ არის გამონაკლისი. ისეთივე ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიტვისა და ესტონეთის კანონმდებლობაც. კერძოდ, ლიტვის კანონი "მოსამართლეთა შესახებ" და ესტონეთის კანონი "მოსამართლეთა შესახებ", სადაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველად მითითებულია პირველ შემთხვევაში – *ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ღირსებას*, და – *მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა სხვაგვარი დარღვევა*; ესტონეთის შემთხვევაში – *მოსამართლის მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, რომელიც გამოიხატება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში*, და – *მოსამართლის უწყესო ქცევა*. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასახელებულ ქვეყნებს, საქართველოსაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი სპეციალური კანონი.⁵ ასევე, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გადაცდომის სახე - *კანონის უხეში დარღვევა* - პოსტსაბჭოთა სივრცის რიგ ქვეყნებში დღესაც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მაგალითად: ლატვიაში – *სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონის განზრახ დარღვევა*; სომხეთის რესპუბლიკაში – *მატერიალური კანონის ნორმების აშკარა და უხეში დარღვევა მართლმსაჯულების განხორციელებისას*, და *საპროცესო კანონმდებლობის ნორმების აშკარა და უხეში დარღვევა*; მოლდოვის რესპუბლიკაში – *მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონით დადგენილი იმპერატიული ნორმების დარღვევა*.

რაც შეეხება რუსეთის საკანონმდებლო ბაზას დისციპლინური სამართალწარმოების წესისა და პროცედურების შესახებ, აღნიშნული გაწერილია რუსეთის ფედერაციის კანონში "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ". ასევე, რუსეთის ფედერაციის ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში "სადისციპლინო სასამართლოს შესახებ" და მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ დამტკიცებულ დებულებაში "მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიების საქმიანობის წესის შესახებ". უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად რუსეთის ფედერაციის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებული რიგი ხარვეზებისა (საფუძველების ბუნდოვანება, პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადების არარსებობა, გადაცდომათა სახეების სიმცირე),

² (в ред. Федерального закона от 02.07.2013 N 179-ФЗ);

³ რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოება; საერთაშორისო იურისტთა კომისიის 2012 წლის დეკემბრის ანგარიში (ISBN: 92-9037-168-4) http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT_rus.pdf

⁴ в ред. Федерального закона от 02.07.2013 N 179-ФЗ;

⁵ ლიტვის კანონი "მოსამართლეთა შესახებ" და ესტონეთის კანონი "მოსამართლეთა შესახებ";

რუსეთის კანონმდებლობით მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება აქვს მხოლოდ სადისციპლინო ორგანოს – მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას და უმაღლეს საკვალიფიკაციო კოლეგიას, განსხვავებით ლიტვისგან, ესტონეთისგან, ბელარუსისა და უზბეკეთისაგან, ასევე, საქართველოსაგან, სადაც აღნიშნული დისკრეცია ჯერ კიდევ მინიჭებული აქვთ ცალკეული სასამართლოების თავმჯდომარეებს. ამ მხრივ წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი, რომლის ერთ-ერთი ცვლილების თანახმად აღნიშნული ფუნქცია გადაეცემა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ისევე, როგორც ეს მეზობელ აზერბაიჯანში (იუსტიციის საბჭო) და მოლდოვის რესპუბლიკაში (მაგისტრატურის საბჭო).

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე რუსეთის საზოგადოება აქტიურად მსჯელობს სასამართლო რეფორმების კონცეფციაზე, რომლის ძირითადი მიმართულებაა რუსეთის ფედერაციაში სასამართლო ხელისუფლების ერთიანი სისტემის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაზრდა, სასამართლო ორგანოებისა და მოსამართლეების სტატუსისა და უფლებამოსილებების შეცვლა,⁶ ე.ი. ცდილობენ დაუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს, რისი ნათელი დადასტურებაც გახლავთ რუსეთის სადისციპლინო ორგანოების მიერ მიღებული 2014-2015 წლის გადაწყვეტილებათა ანალიზი, სადაც საკვალიფიკაციო კოლეგიები უფრო ხშირად მსჯელობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა და ბანგალორის პრინციპების დარღვევაზე, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის სადისციპლინო ორგანოებს, სანამ ამ თემას შევხებოდეთ, არ შეიძლება მოკლედ არ მიმოვიხილოთ თვითონ რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემა, რომლის სტრუქტურაც ორგანიზებულია რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით და გამოირჩევა სირთულით. აქვე უნდა შევხებით სასამართლო სისტემის ფორმირების ისტორიულ წინაპირობებსაც. როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ სასამართლო სისტემის ორგანიზების ორ ტიპს: ფრანგულს და ინგლისურს. კერძოდ, საფრანგეთში აღიარებულია სასამართლო მმართველობის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, სადაც ქვედა დონე დაქვემდებარებულია ზემდგომზე.⁷ აბსოლუტურად სხვაგვარადაა მოწყობილი ინგლისური სასამართლო სისტემა. იგი არ არის ჰარმონიული ერთიანობის და მისი ცალკეული ნაწილების ერთმანეთზე მკაცრად დაქვემდებარებული სისტემა, ინგლისის მთელი იუსტიცია თავმოყრილია მხოლოდ ერთი პირის – მონარქის ხელში და შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: გლობალური და უმაღლესი, სახელმწიფო იუსტიციისაგან.⁸ ხოლო რაც შეეხება რუსეთს, როგორც ირკვევა, რუსეთში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის წესდებების თანახმად, სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისას არჩეული იქნა ამ საკითხის ინგლისური და ფრანგული წესით გადაწყვეტის შუალედური გზა, რომლის მიხედვითაც დღეს საგნობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე ტრადიციულად გამოყოფენ სასამართლო სისტემის სამ ქვესისტემას (რგოლს): 1) რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო; 2) საერთო იურისდიქციის (ტერიტორიული და სამხედრო) სასამართლოები; 3) საარბიტრაჟო სასამართლოები; და თავისი სპეციფიკით ცალკე მდგომი მე-4 რგოლი – სადისციპლინო სასამართლო.⁹ რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემა ორგანიზებულია რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით და შესაბამისად მისი სტრუქტურაც გამოირჩევა სირთულით (იხ. სქემა).

⁶ <http://bugabooks.com/book/224-sistema-gosudarstvennogo-upravleniya/35-121-sudebnaya-sistema-rossijskoj-federacii.html>

⁷ (სასამართლო სისტემის ფრანგულ მოდელს მიაკუთვნებენ ბელგის, იტალიის, ავსტრიის და გერმანიის სისტემებს);

⁸ <http://www.lomonosov-fund.ru/enc/ru/encyclopedia:01180:article>

⁹ [ოქვე](#);



ამდენად რუსეთის სასამართლო სტრუქტურის ასეთი მრავალფეროვნება თავის მხრივ განაპირობებს სადისციპლინო ორგანოთა სიმრავლესა და ნაირსახეობას, როგორცაა მაგალითად: თითოეული ოლქისა და ტერიტორიული ერთეულების, თითოეული ქალაქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები; სამხედრო სასამართლოს მოსამართლეთა (მათ შორის უმაღლესი სამხედრო სასამართლოს) საკვალიფიკაციო კოლეგიები; საარბიტრაჟო სასამართლოს (მათ შორის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს) საკვალიფიკაციო კოლეგიები; რუსეთის ფედერაციის სუბიექტების (რეგიონალური) უზენაესი სასამართლოს და რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგიები.

რაც შეეხება სადისციპლინო ორგანოთა ფუნქციებს, რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეების, მათ შორის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების დისციპლინურ საქმეებს.¹⁰

რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფიკაციო კოლეგია: 1) დისციპლინური გადაცდომისათვის უფლებამოსილებას უჩერებს და უწყვეტს როგორც „მსკ“-ს, ისე „უსკ“-ს წევრებს და მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს; 2) უფლებამოსილებას უჩერებს

¹⁰ გარდა ამისა, „მსკ“ ამოწმებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს მოსამართლეთა ქცევის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება ეთიკის კოდექსისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნებს; „მსკ“ – უფლებამოსილია გადასინჯოს ადრე მიღებული გადაწყვეტილება თუ დადგინდება ახლად აღმოჩენილი გარემოებები;

და უწყვეტ უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს, ოლქების ფედერალური საარბიტრაჟო სასამართლოს, საარბიტრაჟო და სამხედრო სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს და მოსამართლეებს (გარდა რაიონული სასამართლოსი); 3) ამტკიცებს დებულებას მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მუშაობის შესახებ; 4) იხილავს საჩივრებს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე; 5) სწავლობს და განაზოგადებს „მსკ“-ს პრაქტიკას;

რაც შეეხება სადისციპლინო სასამართლოს, რომელიც შედგება 3 წლის ვადით არჩეული უზენაესი სასამართლოს 6 წევრისაგან, იგი განიხილავს მოსამართლეების პრეტენზიებს და საჩივრებს რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფიკაციო კოლეგიის და რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის სუბიექტების გადაწყვეტილებებზე მოსამართლეთა მიერ დისციპლინური გადაცდომების ჩადენის გამო მათთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.¹¹

დასასრულს ალბათ იკითხავთ, რას მოგვცემს რუსეთის დისციპლინური ინსტიტუტების კვლევა, გიპასუხებთ, რომ არამარტო რუსეთის, არამედ მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების სადისციპლინო ორგანოების საქმიანობის სპეციფიკის შესწავლა და მუდმივი დაკვირვება მათი განვითარების დინამიკაზე, ასევე, მათი გამოცდილების გაზიარება გარკვეული თვალსაზრისით პროდუქტიული იქნება საქართველოს შიდა ეროვნული დისციპლინური სამართალწარმოების განვითარების, სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბების, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრისა (იგულისხმება მაგალითად, მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება¹²) და დისციპლინური სამართალწარმოების გაუმჯობესების ახალი კონცეფციების შემუშავებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსამართლეთა სამართლებრივი დაცვის უფრო ეფექტური მექანიზმების დანერგვას ქართულ კანონმდებლობაში.

ქვემოთ გთავაზობთ რუსეთის დისციპლინური სამართალწარმოების განზოგადებას სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით და სიამოვნებით მოვისმენ თქვენს მოსაზრებებსა და კომენტარებს, ასევე, მზად ვარ ვუპასუხო დასმულ შეკითხვებს.

ქეთევან ბექაური

*საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის წევრი*

¹¹ (რუსეთის ფედერაციის ფედერალურ კონსტიტუციური კანონი "სადისციპლინო სასამართლოს შესახებ", მუხლი 1.); 2)

¹² საქართველოს კანონი "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ", მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" ქ/პუნქტი);

მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა¹³

I. გადაწყვეტილების მიღება სამართლებრივი საფუძვლების გარეშე

1. არასრულწლოვანი პირისათვის მსჯავრის დადება სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;¹⁴
2. მოსამართლემ არასრულწლოვან პირს აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ შეუფარდა პატიმრობა¹⁵ (რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევა);¹⁶
3. მოსამართლემ ბრალდებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, რაც დასტურდებოდა სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციით, ასევე, უსაფუძვლოდ გაუგრძელა პირს საპატიმრო ვადა და უარი თქვა პროკურატურის შუამდგომლობაზე ბრალდებულის ავადმყოფობის გამო პატიმრობის შეცვლაზე გირაოს ღონისძიებით¹⁷ (მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდა ვადამდე);¹⁸
4. მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით მსჯავრდებულს უკანონოდ შეუცვალა განაჩენი და მკაცრი რეჟიმის სასჯელის მოხდის დაწესებულების ნაცვლად შეუფარდა სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით;¹⁹

¹³ ”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 12-1 მუხლი;

¹⁴ მოსამართლემ უკანონოდ დასდო მსჯავრი არასრულწლოვანს მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მაშინ როდესაც ჩადენილი იყო საშუალო სიმძიმის დანაშაული, რომლისთვისაც კანონი არ ითვალისწინებდა 16 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რის გამოც აღნიშნული პირი ასევე, უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა ოთხი თვის მანძილზე; რუსეთის ფედერაციის სსკ-ის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი http://ulobsud.ru/index.php?option=com_content&task=view&id=73;

¹⁵ მოსამართლემ პატიმრობა გამოიყენა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, საშუალო სიმძიმის დანაშაულის საქმეზე, მაშინ როდესაც კანონის თანახმად ასეთი სახის ღონისძიება გამოიყენებოდა მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების საქმეზე, რის გამოც არასრულწლოვანი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა ერთ თვეზე მეტი ვადით;

¹⁶ არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდების შემთხვევაში;

¹⁷ მოსამართლის უარს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე და პატიმრობის ვადის გაგრძელებას შედეგად მოჰყვა წინასწარი პატიმრობის ადგილზე ბრალდებულის გარდაცვალება ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რაც ცნობილი არ იყო მოსკოვის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგიისათვის, როდესაც კოლეგიას იმავე მოსამართლემ განცხადებით მიმართა უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე (გადაწყვეტილება გადაისინჯა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო);

¹⁸ საკვალიფიკაციო კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ”მოსამართლემ თავისი გულგრილი დამოკიდებულებით სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი, ჩაიდინა ქმედება, რომელიც სახელს უტეხს სასამართლო ხელისუფლებას და ზიანს აყენებს რუსეთის სასამართლოს რეპუტაციას” http://www.vkks.ru/print_page.php?id=8664;

¹⁹ მოქმედი სსსკ-ის მიხედვით კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, რომელი მოთხოვნაც დაარღვია მოსამართლემ; გარდა აღნიშნულისა

5. მოსამართლემ იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ ისე გამოიტანა გადაწყვეტილებები, რომ არცერთ საქმეში არ იდო სათანადო დოკუმენტების დედნები, გარდა ასლებისა, რომლებიც ასევე, არ იყო ლეგალიზებული, გადათარგმნილი და დამოწმებული სათანადო წესით;²⁰
6. მოსამართლემ უსაფუძვლოდ შეაჩერა საქმის წარმოება მოსარჩელის ავადმყოფობის მოტივით;²¹
7. მოსამართლემ განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ გამოიტანა საპროცესო ნორმათა დარღვევით;²²

II. არასწორი საპროცესო მოქმედებების განხორციელება

8. მოსამართლემ საქმეზე მტკიცებულებად დაურთო სამედიცინო ცნობები, რომლებიც წარმოადგინეს არა პროცესში მონაწილე მხარეებმა, არამედ უცხო პირებმა;
9. მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეზე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის გამო გადადო სხდომა, რაც არ არის გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით;
10. სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღის არასწორი გამოყენება მოპასუხის მიმართ;²³
11. მოსამართლემ საქმეს დაურთო წერილობითი მტკიცებულებათა ასლები, რომლებიც არ ემთხვეოდა მათ დედნებს;²⁴
12. მოსამართლემ განცხადება ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განიხილა ერთპიროვნულად, სხდომის ჩატარების გარეშე;²⁵

მოსამართლემ კანონის დარღვევით მიანიჭა უპუქცევითი ძალა სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებას და მსჯავრდებულს უკანონოდ შეუცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია ნაკლებად მძიმე დანაშაულით (მოქმედი სსსკ-ის თანახმად მოსამართლეს დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის უფლება კანონში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით ჰქონდა მხოლოდ განაჩენის დადგენისას და არა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ ეტაპზე), ასევე შეუცვალა სასჯელის მოხდის რეჟიმი; აღნიშნულის შედეგად მსჯავრდებული სასჯელისაგან განთავისუფლდა ვადაზე ადრე;

²⁰ ატესტატის ასლი განმცხადებლის განათლების შესახებ არ შეიცავდა ამ პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს(სახელი, გვარი, მამის სახელი იყო სხვა); სასამართლო სხდომაზე განმცხადებელს არ წარმოუდგენია პასპორტის დედანი, მიუხედავად ამისა, მისი მოთხოვნა იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ მოსამართლემ მაინც დააკმაყოფილა;

²¹ სათანადო სამედიცინო დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლი, (საქმის შეჩერება შესაძლებელია თუ პირი იმყოფება სტაციონარში);

²² მოსამართლემ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელების გამოუცხადებლობის გამო გამოიტანა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს;

²³ მოსამართლემ ისე დაადო ყადაღა მიწის ნაკვეთს, რომ წინასწარ არ შეამოწმა მათი კუთვნილება მოპასუხე მხარისადმი; როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სხვა კომპანიის საკუთრებას, რის გამოც მოსამართლის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა;

²⁴ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის მე-6 ნაწილი და 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოსამართლე ვალდებულია წერილობითი მტკიცებულებების საქმეზე დართვამდე შეამოწმოს მათი სანდოობა;

²⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლი;

III. მხარეთა საპროცესო უფლებების დარღვევა

13. მოსამართლემ შეკვეცილი სხდომა ჩაატარა დაზარალებულის თანხმობისა და მისი დასწრების გარეშე;
14. განსასჯელს არ მიეცა საბოლოო სიტყვის წარმოთქმის უფლება;
15. საქმე დაბრუნდა საკასაციო სასამართლოდან იმის გამო, რომ მსჯავრდებული არ იყო გაცნობილი საქმის მასალებს და სხდომის ოქმს;
16. მოსამართლემ კანონიერი წარმომადგენელი არ დაუშვა სხდომაზე;
17. მოსამართლემ გადაწყვეტილების ასლი და სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელეს გადასცა ოთხი თვის დაგვიანებით;
18. მოსარჩელებს არ მიეცათ საქმის გაცნობის შესაძლებლობა;
19. მოსამართლემ არასრულწლოვანის საქმეში არ ჩართო მისი კანონიერი წარმომადგენელი, რითაც დაარღვია არასრულწლოვანი პირის დაცვის უფლება;²⁶
20. საქმეში არ ჩართო დაინტერესებული პირები;²⁷
21. მოსამართლემ განაჩენის აღსრულების საკითხის გადასაწყვეტად სხდომაზე არ მოიწვია პროკურორი, მსჯავრდებული და მისი ადვოკატი, ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენელი;²⁸
22. სისხლის სამართლის საქმეში არ იდო დაცვის ორდერი;
23. ადვოკატს საქმის გასაცნობად არ მიეცა გონივრული დრო და შეეზღუდა განსასჯელთან განმარტოებით შეხვედრის უფლება;²⁹
24. დაცვის მხარეს უარი ეთქვა სასამართლოში ექსპერტების მოწვევისა და დაკითხვის შესახებ შუამდგომლობაზე;
25. მოსამართლემ ადვოკატებს არ მისცა დრო დაცვითი სიტყვის მოსამზადებლად;³⁰
26. მოსამართლემ დაარღვია ბრალდებულის დაცვის უფლება, კერძოდ ადვოკატის გამოუცხადებლობისა და ახალი ადვოკატის დანიშვნის შეუძლებლობის გამო სხდომის გადადების წესი;³¹
27. მოსამართლემ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უარი უთხრა მოპასუხეს საკასაციო საჩივრის მიღებაზე და გაშვებული ვადის აღდგენაზე;³²

²⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლი;

²⁷ მოსამართლემ მამობის დადგენის ფაქტზე საქმეში დაინტერესებულ პირებად არ ჩართო გარდაცვლილის მეუღლე და ვაჟი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე, 264-ე მუხლები;

²⁸ რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

²⁹ ადვოკატს 6-ტომიანი საქმის გასაცნობად გამოეყო 1 საათი, ასევე, მოსამართლემ უფლება არ მოსცა ადვოკატს შეხვედროდა განსასჯელს განმარტოებით, პოზიციის შესათანხმებლად;

³⁰ რის გამოც ადვოკატებმა ვერ წარმოთქვეს დაცვითი სიტყვა;

³¹ რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 248-ე მუხლი;

28. მოსამართლემ განაჩენის ასლები პროცესში მონაწილე მხარეებს გადასცა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით;³³
29. მოსამართლემ მსჯავრდებულს განაჩენის ასლი და სასამართლო სხდომის ოქმი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაუგზავნა განაჩენის გამოცხადებიდან 8 თვის შემდეგ;
30. მოსამართლემ არ განიხილა მხარის შუამდგომლობა დაგვიანებით შეტანილი საკასაციო საჩივრის ვადის აღდგენაზე, რის გამოც საქმე დაბრუნდა საკასაციო სასამართლოდან;

IV. საქმეთა რეგისტრაციის წესის დარღვევა

31. მოსამართლემ ოთხ სამოქალაქო საქმეს მიანიჭა ერთი სარეგისტრაციო ნომერი;

V. საქმეთა განხილვის რიგითობის წესის დარღვევა

32. მოსამართლემ 4 სასარჩელო განცხადებიდან ორს მიანიჭა უპირატესობა, სარჩელები მიიღო წარმოებაში, ჩანიშნა მოსამზადებელი სხდომა, შეარჩია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ა.შ. მაშინ როდესაც მოსამართლეს არ მიუღია მსგავსი ზომები გაცილებით ადრე შემოსულ განცხადებებზე;

VI. სასამართლო განსჯადობის წესის დარღვევა

33. განაჩენი მოქმედ კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით ზემდგომი ინსტანციის მოსამართლის ნაცვლად³⁴ გადასინჯა პირველი ინსტანციის მოსამართლემ³⁵ (მოსამართლეს უფლებამოსილების შეუწყდა ვადამდე);³⁶
34. მოსამართლემ განიხილა საქმე, რომელიც ექვემდებარებოდა საარბიტრაჟო სასამართლოს იურისდიქციას;
35. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მაშინ როცა საქმე იყო სხვა სასამართლოს განსჯადი;³⁷

³² რის გამოც მოპასუხემ გადაწყვეტილების გამოტანიდან ნახევარი წლის მანძილზე ვეღარ შეძლო გაესაჩივრებინა განჩინება საჩივრის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ და ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილება; მოსამართლის განჩინება ვადის გაშვებაზე იყო უკანონო, ვინაიდან არ არსებობდა მოტივირებული გადაწყვეტილება;

³³ მოსამართლემ განაჩენის ასლები ადვოკატს, პროკურორს და დაზარალებულს გადასცა განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვისა და 20 დღის შემდეგ, სსსკ-ის 312-ე მუხლი - სასამართლო აქტების მხარეებისათვის გადაცემის წესი და ვადები;

³⁴ სსსკ-ის თანახმად, განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს (რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 48-ე თავის, 47-ე თავის 396-ე -399-ე მუხლების და სსსკ-ის 7-ე მუხლის 4-ე ნაწილის მოთხოვნები);

³⁵ სსსკ-ის თანახმად, განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს (რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 48-ე თავის, 47-ე თავის 396-399-ე მუხლების და სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები);

³⁶ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ <http://len.vkks.ru/publication/24595/>;

³⁷ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი "თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდება, რომ საქმე სხვა სასამართლოს განსჯადია, მოსამართლე საქმეს აგზავნის ქვემდებარეობისამებრ";

VII. დაუსაბუთებელი აცილება და თვითაცილება (ან უარი აცილებაზე)

36. მოსამართლემ უარი თქვა აცილების შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე;³⁸

VIII. ერთსა და იმავე საქმეზე ორი სხვადასხვა შინაარსის გადაწყვეტილების მიღება

37. მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოიტანა ორი სხვადასხვა შინაარსის გადაწყვეტილება, რომელიც გაეგზავნა დაზარალებულს;³⁹

38. მოსამართლემ მსჯავრდებული პირის მიმართ დაადგინა ორი სხვადასხვა შინაარსის გამამტყუნებელი განაჩენი;⁴⁰

39. მოსამართლემ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარს დაურთო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის დადგენილება;⁴¹

40. სასამართლო განაჩენის ფალსიფიკაცია;⁴²

41. მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე გამოაცხადა სხვა შინაარსის განაჩენი, ხოლო მხარეებს გადასცა შეცვლილი განაჩენის ასლები;⁴³

42. მოსამართლემ ერთი და იგივე პირის მიმართ ერთი და იგივე საქმეზე სხვადასხვა თარიღით გამოიტანა სხვადასხვა შინაარსის განაჩენი;

IX. საქმის განხილვის გაჭიანურება

43. მოსამართლემ სხდომა გადადო განსასჯელის ავადმყოფობის მოტივით ისე, რომ საქმეში არ იდო სამედიცინო ცნობა პირის ავადმყოფობის შესახებ;

³⁸ იმ მოტივით, რომ აცილების შუამდგომლობა მხარეს უნდა დაეყენებინა მოსამზადებელ ეტაპზე და ამასთან უკვე გამოტანილი ჰქონდა განჩინება სხდომის გადადების თაობაზე, დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილი შუამდგომლობის განხილვის წესის შესახებ;

³⁹ გადაწყვეტილების ორივე ასლზე იყო მოსამართლის ხელმოწერა; პირველი გადაწყვეტილებით პირი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დაეკისრა მართვის უფლების ჩამორთმევა ერთი წლის ვადით ხოლო მეორე გადაწყვეტილებით საქმე შეწყდა წარმოებით დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო;

⁴⁰ კანონიერებაზე ზედამხედველი სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმეში აღმოჩნდა ორი სხვადასხვა შინაარსის განაჩენის დამოწმებული ასლები., კერძოდ პირველი განაჩენის მიხედვით პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და რვა თვით, ხოლო მეორე განაჩენის მიხედვით - სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ასევე, განაჩენების სამოტივაციო ნაწილის შინაარსიც;

⁴¹ პირველი დადგენილება, რომელიც საქმეში იდო, შეიცავდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დასკვნებს მაგისტრი მოსამართლის მიერ უზნის ინსპექტორისა და კერძო ბრალმდებლის მიმართ კერძო განჩინების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერებას, ხოლო იმავე დადგენილების დამოწმებული ასლი, რომელიც დაერთო საკასაციო საჩივარს, ასეთ დასკვნებს არ შეიცავდა;

⁴² მოსამართლემ სხდომაზე გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულის მიმართ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მაგრამ საქმეში აღმოჩნდა განაჩენის ასლი მსჯავრდებულისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ;

⁴³ სხდომაზე გამოცხადებული განაჩენის მიხედვით პირს სასჯელის სახით დაუნიშნა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მხარეებისათვის გადაცემულ განაჩენის ასლში მითითებული იყო თავისუფლების შეზღუდვა ერთი წლის ვადით, ასევე დაუწესა სასჯელის მოხდის სხვა დამატებითი პირობები, რაც არ გამოუცხადებია სხდომაზე;

44. მოსამართლემ სამოქალაქო საქმეზე 11-ჯერ გადადო საქმის მოსმენა⁴⁴ (დაირღვა "მოსამართლის სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერაციის კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი);
45. პროცესზე არ გამოცხადდნენ განსასჯელი და მოწმეები, რამაც გამოიწვია საქმის გადადება და საქმის განხილვის გაჭიანურება;
46. მოსამართლემ უსაფუძვლოდ გადადო სხდომა ერთი თვის ვადით და არ დაკითხა სხდომაზე გამოცხადებული ერთერთი დაზარალებული და რამდენიმე მოწმე;⁴⁵
47. მოსამართლე სამოქალაქო საქმეს იხილავდა ორი წლის, ოთხი თვისა და რვა დღის განმავლობაში;⁴⁶
48. მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაში არ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რითაც უხეშად დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა⁴⁷ (საკვალიფიკაციო კოლეგიამ უარი თქვა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემაზე და შემოიფარგლა მხოლოდ მოსამართლისათვის მითითების მიცემით მის მიერ კანონის ნორმების დარღვევაზე);⁴⁸
49. მოსამართლემ დადგენილ ვადაში არ გადაუგზავნა ზემდგომ ინსტანციას მხარეთა სააპელაციო საჩივრები, რასაც მოჰყვა საქმის განხილვის გაჭიანურება;
50. სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას სხდომების გადადება მოსამართლის ავადმყოფობის, სხდომის მდივნის ავადმყოფობის, მოსამართლის სტაჟირებაზე ყოფნის, სხდომის მდივნის შვებულებაში ყოფნის მოტივით;
51. მოსამართლემ 5 საქმეზე უსაფუძვლოდ გადადო სხდომა;⁴⁹
52. მოსამართლე ხშირად არღვევდა სარჩელის განხილვის, განჩინებისა და მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვადებს;⁵⁰

⁴⁴ მოსამართლის გადაწყვეტილება გააუქმა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, ვინაიდან მიღებული იყო მატერიალური და საპროცესო ნორმათა დარღვევით და საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად; (დაირღვა "მოსამართლის სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერაციის კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი, "მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას თავისი მოვალეობების შესრულების პროცესში ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის აზრსა და მნიშვნელობას");

⁴⁵ რუსეთის ფედერაციის-ს სსსკ-ის 253-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁴⁶ "მოსამართლის სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერაციის კანონის პირველი მე-2 და მე-3 მუხლები და ეთიკის კოდექსის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-11 მუხლების დარღვევა - მოსამართლის კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება, კონსტიტუციისა და კანონების პატივისცემა, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ვალდებულება;

⁴⁷ შედეგად მოჰყვა საქმის შეწყვეტა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, დაირღვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 29.7 მუხლის პირველი ნაწილი;

⁴⁸ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მუშაობის შესახებ დებულების 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად (დამტკიცებულია 22.03.2007 წ. უმაღლესი საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ), საკვალიფიკაციო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის ხასიათი, მისი ჩადენის მიზეზი და გარემოებები, შედეგი, მოსამართლის დამოკიდებულება ჩადენილ ქმედებასთან, დისციპლინური სახდელის არარსებობა წარსულში, დადებითი დახასიათება, აგრეთვე ის, რომ ქმედებას არ მოჰყოლია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების არსებითი დარღვევა;

⁴⁹ მოსამართლემ სხდომაზე განაცხადა, რომ სასამართლოს შემადგენლობა არ იყო მზად საქმის განხილვისათვის, რაც დააბრალა სასამართლოს არაორგანიზებულ მუშაობას, შიდა ტექნიკურ მიზეზებს და ა.შ. ამასთან მოსამართლე მხარეებს სთხოვდა ეშუამდგომლათ სხდომის გადადების თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლეს სასამართლოს ხელმძღვანელობისათვის რაიმე პრობლემის გამო არ მიუმართავს;

⁵⁰ მოტივირებული გადაწყვეტილებები მოსამართლეს გამოჰქონდა საშუალოდ 4 თვემდე ვადაში;

53. სამოქალაქო საქმე 9 თვის მანძილზე იმყოფებოდა მოსამართლის წარმოებაში;⁵¹
54. სამოქალაქო საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება;⁵²

X. საპროცესო ვადების დარღვევა

55. მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეები კანცელარიას ჩააბარა კანონით დადგენილი 30-დღიანი ვადის დარღვევით;⁵³
56. მოსამართლემ 72 სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილ ვადაში არ გამოიტანა მოტივირებული გადაწყვეტილება⁵⁴ (მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა);⁵⁵
57. საპროცესო აქტების დამზადება დადგენილი ვადის გაშვებით, საპროცესო დოკუმენტების ასლების მხარეებისათვის დადგენილ ვადაში არ გაგზავნა;
58. მოსამართლემ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული განჩინებები გამოიტანა ორი თვის დაგვიანებით.⁵⁶ ასევე, სააპელაციო საქმეების კანცელარიაში ჩაუბარებლობა ხანგრძლივი ვადის მანძილზე⁵⁷ (მოსამართლეს სახდელის სახით დაეკისრა გაფრთხილება);⁵⁸
59. მოსამართლის მიერ რამდენიმე საქმეზე სასამართლო აქტების გამოტანის ვადების დარღვევა;
60. მოსამართლის მიერ განხილული საქმეების კანცელარიაში ჩაუბარებლობა სისტემატიურად კანონით დადგენილ 10-დღიან ვადაში⁵⁹ (სახდელი - შენიშვნა);⁶⁰
61. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის ვადების დარღვევა;
62. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ვადების გაშვება;

⁵¹ 9 თვის მანძილზე მოსამართლემ ჩაატარა სულ ცხრა სხდომა;

⁵² მოსამართლე საქმეს იხილავდა წელიწადნახევრის მანძილზე; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სარჩელი განიხილება მისი შემოსვლიდან 2 თვის გასვლამდე;

⁵³ საუბარია იმ მსჯავრდებულთა საქმეებზე, რომელთაც სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა, მოსამართლემ ამ მსჯავრდებულთა საქმეები კანცელარიას ჩააბარა 55-ე დღეს;

⁵⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის დარღვევა, რომლის თანახმადაც მოტივირებული გადაწყვეტილება მოსამართლეს გამოაქვს 5 დღის ვადაში;

⁵⁵ მოსამართლეს წარსულში ორჯერ ჰქონდა დაკისრებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით;

⁵⁶ 36 ეპიზოდი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე თავის და 199-ე მუხლის მოთხოვნა;

⁵⁷ რამაც პროცესის მონაწილეებს შეუზღუდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კანონით დადგენილ ვადაში;

⁵⁸ იგივე მოსამართლეს თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისათვის ერთი წლის უკან პრემიიდან 30 პროცენტზე კი ჩამოაჭრეს, მაგრამ როგორც კოლეგიის გადაწყვეტილებაშია მითითებული, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ზომა, იმისათვის, რომ მოსამართლეს სათანადო დასკვნა გამოეტანა;

⁵⁹ საქმე კანცელარიას უნდა ჩაბარდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 10 დღისა, რაიონულ სასამართლოში საქმეთა წარმოების შესახებ ინსტრუქციის 7.9 პუნქტი;

⁶⁰ რუსეთის ფედერაციის კანონი "მოსამართლის სტატუსის შესახებ", 12.1 მუხლის მე-3 ნაწილი (2013 წლის 02.07.-ის ცვლილება);

63. მოსამართლემ დაარღვია სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ განჩინების გამოტანის 5-დღიანი ვადა;⁶¹
64. მოსამართლემ დაარღვია განცხადების მიღებაზე უარის თქმის პროცესუალური ვადა;
65. მოსამართლემ მხარეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ სხდომას, დადგენილ ვადაში არ გადაუგზავნა გადაწყვეტილების ასლები;
66. მოსამართლემ სააპელაციო საჩივრის უმოძრაოდ დატოვების შესახებ განჩინება გამოიტანა ვადის დარღვევით;⁶²
67. მოსამართლემ საქმეზე მოტივირებული გადაწყვეტილება გამოიტანა ორი თვის დაგვიანებით;⁶³
68. მოსამართლემ საკასაციო საჩივრის დაბრუნების შესახებ განჩინებაზე შემოსული კერძო საჩივრები კანონით დადგენილ ვადაში არ გადაუგზავნა საკასაციო ინსტანციას;⁶⁴
69. მოსამართლემ დამთავრებული სისხლის სამართლის საქმე და საკასაციო საჩივრები კანცელარიას ჩააბარა განაჩენის გამოცხადებიდან 7 თვის შემდეგ;⁶⁵

XI. სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა

70. საქმე ქვემდებარეობით არსებითად განსახილველად არ გადაუგზავნა მომრიგებელ მოსამართლეს და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას;⁶⁶
71. მოსამართლემ სამოქალაქო საქმეზე არ გაუგზავნა მხარეებს სააპელაციო საჩივარი და თანდართული მასალები;
72. სისხლის სამართლის საქმეებზე - მოსამართლემ არ უზრუნველყო სხდომაზე მოწმეების დასწრება, არ შეატყობინა მათ სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ;
73. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებების არ გაგზავნა თანამდებობის პირებისათვის და კანცელარიისათვის ჩაუბარებლობა;
74. მოსამართლემ სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ არ შეატყობინა მოსარჩელეს;
75. მოსამართლემ პროცესში მონაწილე მხარეებს არ შეატყობინა სხდომის ადგილი და თარიღი;
76. მოსამართლემ არ განიხილა გამოძიების ორგანოს შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისას ჩატარებული ჩხრევის კანონიერების შემოწმებას;⁶⁷

⁶¹ მოსამართლემ სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ განჩინება გამოიტანა ერთი თვის დაგვიანებით;

⁶² მოსამართლემ აღნიშნული განჩინება გამოიტანა ორ თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ ნაცვლად კანონით დადგენილი 5-დღიანი ვადისა;

⁶³ 14 სამოქალაქო საქმეზე;

⁶⁴ საკასაციო სასამართლომ გააუქმა არა მხოლოდ მოსამართლის განჩინება არამედ გადაწყვეტილებაც (ოთხ საქმეზე);

⁶⁵ სსსკ-ის 39-ე თავი: ” საქმის საკასაციო ინსტანციასი გაგზავნის წესი და ვადები”;

⁶⁶ საქმე ეხებოდა არასრულწლოვანისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის, მამის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემას;

77. მოსამართლემ საცხოვრებელი სახლის საერთო წილობრივი საკუთრების უფლების აღიარების საქმეზე არ დაადგინა ყველა პირი, ვისაც უფლება ჰქონდა დაეკავებინა სადაო სახლი;
78. ავტოავარიის საქმეზე მოსამართლემ ექსპერტს გადაუგზავნა არასაკმარისი მტკიცებულებები, რის გამოც ექსპერტიზა ვერ ჩატარდა ორჯერ;
79. მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივარი და საქმე ზემდგომ ინსტანციაში გადააგზავნა ერთი წლისა და 10 თვის შემდეგ;⁶⁸
80. მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე შემოსული კერძო საჩივარი არ გადაუგზავნა საქალაქო სასამართლოს;⁶⁹

XII. მოსამართლე გაცდა უფლებამოსილების ფარგლებს

81. მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში არსებითი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე და მიიღო ისეთი განჩინება, რითაც სააქციო საზოგადოების მმართველ ორგანოს ფაქტიურად შეუზღუდა საქმიანობის განხორციელება;⁷⁰

XIII. გადაწყვეტილების მიღების საპროცესო წესის დაუცველობა

82. მოწმეთა იძულებითი მოყვანის შესახებ დადგენილების მიღება საპროცესო ნორმათა დარღვევით;⁷¹
83. მოსამართლემ განსასჯელს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეუცვალა გაუსვლელობის ხელწერილით, განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების გარეშე;
84. სხდომის თავმჯდომარემ ისე შეცვალა სასამართლოს შემადგენლობა, რომ აღნიშნულზე არ არსებობდა კოლეგიის ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება;⁷²

⁶⁷ მოსამართლე იმ დღეს საერთოდ არ გამოცხადდა სამსახურში;

⁶⁸ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შემოსული საჩივრისა და მასალების ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის 3-დღიანი ვადა;

⁶⁹ რითაც სამართალწარმოებაში მონაწილე მოდავე მხარეების მიმართ დაირღვა სამოქალაქო კანონმდებლობით, რუსეთის კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის, სამართლიანი სასამართლო განხილვის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის უფლებები;

⁷⁰ მოსამართლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გაუქმებულ იქნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ, ვინაიდან როგორც გაირკვა, მოსარჩელები არასოდეს არ ყოფილან სააქციო საზოგადოების წევრები; რუსეთის ფედერაციის (საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის და 91-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის დარღვევა, რომლის თანახმადაც - (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მისმა მიუღებლობამ შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება; უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს სარჩელის მოთხოვნებს, ანუ უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს დავის საგანს, უნდა იყოს მოთხოვნის პროპორციული; უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ უნდა გახადოს ფაქტიურად შეუძლებელი სააქციო საზოგადოების მიერ თავისი საქმიანობის განხორციელება ან არსებითად განხორციელება);

⁷¹ მოსამართლეს გადაწყვეტილება მოწმეთა იძულებით მოყვანის შესახებ გამოჰქონდა ან სასამართლო სხდომის გარეშე ან სათათბირო ოთახში გაუსვლელად;

XIV. გადაწყვეტილების ფორმის დაუცველობა

85. სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სარეზოლუციო ნაწილის არარსებობა;

XV. გადაწყვეტილების მიღება მატერიალური სამართლებრივი ნორმის დარღვევით

86. მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმების დარღვევით, პირს შეუფარდა პირობითი სასჯელი;⁷³
87. მოსამართლემ მძიმე კატეგორიის საქმეებზე ბრალდებულ პირებს დაუნიშნა პირობითი მსჯავრი;
88. მოსამართლემ პირს სასჯელი დაუნიშნა დანაშაულთა ერთობლიობით, მაშინ როდესაც მას წინა დანაშაულისათვის სასჯელი მთლიანად ჰქონდა მოხდილი;
89. მოსამართლემ სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება;
90. მოსამართლემ გამოიყენა ძალადაკარგული ნორმატიული აქტი;

XVI. ხარვეზები გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში

91. მოსამართლე განაჩენში დაეყრდნო მოწმის ჩვენებას, რომელიც სხდომის ოქმის მიხედვით არ ემთხვეოდა მოწმის მიერ სასამართლოზე მიცემულ ჩვენებას;
92. მოსამართლე განაჩენში დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც არ ყოფილა გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე;⁷⁴
93. მოსამართლემ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ფსიქიკური აშლილობა, რომელიც არ გამორიცხავს პირის შერაცხადობას;
94. მოსამართლემ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე არ გამოუკვლევიათ;

XVII. ტექნიკური ხარვეზები საქმეში

95. მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ განჩინებაში არ მიუთითა თავისი მონაცემები, არ მოაწერა ხელი განჩინებას;
96. სისხლის სამართლის საქმეში არ იდო სხდომის ოქმი, ოქმზე არ იყო მოსამართლის ხელმოწერა;
97. სხდომის ოქმზე მოსამართლის მიერ ხელმოწერის დაგვიანება;⁷⁵

⁷² საქმის განხილვა სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას;

⁷³ განაჩენი შეიცვალა სააპელაციო ინსტანციაში მკაცრი სასჯელით, რისთვისაც მოსამართლეს გაეგზავნა კერძო განჩინება;

⁷⁴ რასაც მოჰყვა განაჩენის გაუქმება ზემდგომ ინსტანციაში;

98. საქმეში მოპასუხე მხარეთა ხელწერილების არარსებობა სხდომის ჩატარების თარიღის შეტყობინების შესახებ;
99. ადმინისტრაციულ საქმეში არ იყო განჩინებები სხდომის დანიშვნის და სხდომის გადადების შესახებ;
100. 27 სამოქალაქო საქმეში არ იყო ცნობები პროცესის მონაწილე მხარეთა სხდომაზე გამოძახების შესახებ;
101. სამოქალაქო საქმეში არ იყო სხდომაზე გამოძახებულ დაინტერესებულ პირთა ხელწერილები სხდომის ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ;⁷⁶
102. სხვადასხვა საქმეების განხილვის თარიღი და სხდომების ჩატარების დრო ემთხვეოდა ერთმანეთს;
103. ადმინისტრაციულ საქმეში ჩაკერებული იყო დოკუმენტის ასლები, რომელთა დაბრუნების შესახებ მოსამართლის გამოტანილი ჰქონდა დადგენილება;

XVIII. დაუდევრობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან სასამართლოს ხელმძღვანელობის დავალების შეუსრულებლობა

104. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეში არ იყო გადაწყვეტილება;⁷⁷
105. მოსამართლე ნაცვლად იმისა, რომ აღმოეფხვრა საქმეში არსებული ხარვეზები, აიღო შვებულება და დასასვენებლად წავიდა საზღვარგარეთ;
106. მოსამართლე ისე გავიდა შვებულებაში, რომ საქმეთა უმრავლესობა არ ჰქონდა ჩაბარებული კანცელარიაში;
107. სასამართლოს ხელმძღვანელობის განკარგულებებისადმი დაუმორჩილებლობა;
108. მოსამართლის მიერ ოპერატიული თათბირების ხშირი გაცდენა;
109. მოსამართლემ არ შეასრულა თავმჯდომარის მითითება და საქმე არ გადასცა სხვა მოსამართლეს დაუყოვნებლივ;
110. მოსამართლე ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე ხშირად ტოვებდა სამუშაო ადგილს;
111. მოსამართლე არ ასრულებდა ხელმძღვანელობის მითითებებს დამთავრებული საქმეების კანცელარიისთვის დროულად გადაცემის შესახებ;

XIX. მოსამართლის სტატუსის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის

112. მოსამართლემ გამოიყენა რა თავისი სტატუსი, საგადასახადო ორგანოებიდან პირადი ინტერესებისათვის გამოითხოვა ინფორმაცია იმ პირის დავალიანების შესახებ, რომელიც არ მონაწილეობდა მის წარმოებაში არსებულ საქმეში;⁷⁸

⁷⁵ რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლით განსაზღვრულია სხდომის ოქმზე ხელმოწერის ვადები;

⁷⁶ ასევე, არ იყო დაზღვეული წერილები დაინტერესებული პირებისათვის სხდომის თარიღისა და ადგილის შეტყობინების შესახებ;

⁷⁷ აღნიშნულ საქმეზე იყო მოსამართლის მინაწერი: ” არ ვიცი რა გავაკეთო...” მოსამართლეს კონსულტაციისთვის კოლეგებისთვის არ მიუმართავს;

XX. მოსამართლის არაეთიკური ქცევა

113. მოსამართლემ სხდომის მიმდინარეობისას დაარღვია საყოველთაოდ აღიარებული მორალის პრინციპები;⁷⁹
114. მოსამართლე სასამართლოს გარეთ მანტიაში გამოწყობილი ეწეოდა სიგარეტს;⁸⁰
115. მოსამართლის მიერ სხდომების მსვლელობისას ისეთი განცხადებების გაკეთება, რაც ჩრდილს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს;⁸¹
116. მოსამართლემ სხდომა ჩაატარა მოსამართლის მანტიის გარეშე;⁸²
117. მოსამართლე იყენებდა უტაქტო და დესტრუქციულ გამონათქვამებს;

XXI. მოსამართლის არაეთიკური ქცევა სასამართლოს გარეთ

118. მოსამართლემ საჯარო რეესტრის თანამშრომელს, რომელიც ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი ტონით მიუთითა მას ეროვნულ წარმომავლობაზე⁸³ (მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდა ვადამდე);

XXII. პროცესის მონაწილე მხარისთვის აშკარა უპირატესობის მინიჭება

119. მოსამართლემ პროცესის მსვლელობისას არაერთხელ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, გამოხატავდა აშკარა თანაგრძნობას ბრალდებულის მიმართ;⁸⁴

XXIII. მხარეებთან კომუნიკაციის წესის დარღვევა

120. მოსამართლემ მხარეები დაიბარა თავის სამუშაო ოთახში და წინასწარ გამოთქვა აზრი საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და მოსალოდნელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;⁸⁵

⁷⁸ "მოსამართლის სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერაციის კანონის პირველი, მე-2, მე-3 მუხლები და ეთიკის კოდექსის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევა, რომლის თანახმადაც "მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს თავისი სტატუსი პირადი ინტერესებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობაში";

⁷⁹ მოსამართლემ განაჩენის გამოცხადების შემდეგ მიუთითა მომხდარი ტრაგედიის მცირე მნიშვნელობაზე და დაზარალებულ პირს (რომლის ქალიშვილიც გარდაიცვალა ავტოსაგზაო შემთხვევისას) ურჩია ეზრუნა სხვა შვილის გაჩენაზე;

⁸⁰ მოსამართლე ავლენდა სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს - მოსამართლის მანტიისადმი უპატივცემულობას;

⁸¹ მოსამართლე სხდომებზე აკეთებდა უსაფუძვლო განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს სასამართლოს ხელმძღვანელობა მასზე ახდენდა ზეწოლას, ჩამოართვეს საქმეები და არ აძლევდნენ მათი განხილვის შესაძლებლობას;

⁸² მოსამართლემ მანტია ჩაიცვა მხოლოდ მოპასუხის შენიშვნის შემდეგ;

⁸³ საჯარო რეესტრის თანამშრომელი იყო ეროვნებით ირანელი; უყვიროდა ხმამაღლა, უწოდა მექრთამე, დაემუქრა პრეზიდენტთან და პროკურატურაში ჩვილით, რა დროსაც დემონსტრირებას უკეთებდა თავის თანამდებობრივ სტატუსს (რუსეთის კონსტიტუციის 23-ე მუხლი - მოსამართლემ უნდა დაიცვას მაღალი მორალურ-ეთიკური ნორმები როგორც სასამართლოში ისე არასასამართლო ურთიერთობებში);

⁸⁴ მოსამართლემ არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება დაზარალებულების უარზე, საქმე განეხილათ განსაკუთრებული წესით, გამოხატავდა რა აშკარა თანაგრძნობას ბრალდებულის მიმართ, რამდენჯერმე მზრუნველობით შესთავაზა მას წყალი და მედიკამენტები, დაადგინა ლმობიერი განაჩენი იმ მოტივით, რომ ბრალდებულს ყავდა არასრულწლოვანი შვილი და ხანდაზმული მშობლები (ეთიკის კოდექსის პირველი, მე-2, მე-9 და მე-10 მუხლების დარღვევა);

XXIV. შრომის დისციპლინის დარღვევა

121. მოსამართლის მიერ სისტემატიური დაგვიანება სამსახურში, რამაც გამოიწვია სხდომების დროული დაწყების შეფერხება;
122. მოსამართლე სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდა სამსახურში;⁸⁶.
123. მოსამართლე სისტემატიურად აცდენდა სამსახურს საპატიო მიზეზის გარეშე;⁸⁷
124. მოსამართლემ, რომელსაც გრაფიკის მიხედვით ევალეზობდა მორიგეობა სასამართლოში, უარი განაცხადა სამსახურში გამოცხადებაზე;
125. მოსამართლე სამსახურში არ გამოცხადდა ორი დღის მანძილზე, საპატიო მიზეზის გარეშე;⁸⁸
126. მოსამართლემ სხდომა დაიწყო 35 წუთის დაგვიანებით;
127. მოსამართლე ორი დღის განმავლობაში არ იმყოფებოდა სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე;⁸⁹
128. მოსამართლე ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე ხშირად ტოვებდა სამუშაო ადგილს;

XXV. მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების შეუსრულებლობა

129. მოსამართლე სათანადო კონტროლს არ უწევდა სასამართლო აპარატის მუშაობას;⁹⁰
130. სასამართლოს თავმჯდომარე კონტროლს ვერ უწევდა სასამართლოს ორგანიზაციულ მუშაობას, საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვას;⁹¹

XXVI. მოსამართლის სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება

131. ავტომანქანის მართვა არაფეხიზელ მდგომარეობაში;⁹²

⁸⁵ მოსამართლემ დაზარალებული და მისი წარმომადგენელი შეიყვანა თავის სამუშაო კაბინეტში და მათთან საუბარში წინასწარ გამოთქვა აზრი საქმის მოსალოდნელ შედეგთან დაკავშირებით. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2007 წლის № 27 დადგენილება, პუნქტი 10 – მოსამართლემ არ უნდა დაუშვას პირადი ურთიერთობები იმ მოქალაქეებთან ან ორგანიზაციებთან წარმომადგენლებთან, რომელთა საქმეებიც განიხილება სასამართლოში, გარდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ბანგალორის პრინციპების 1.6, 2.2, 3.1, 4.1, 4.2 და 6.7;

⁸⁶ მიუხედავად თავმჯდომარის უარისა გათავისუფლებაზე, მოსამართლე სამსახურში არ გამოცხადდა სამი დღის მანძილზე, რითაც შეფერხდა სასამართლოს საქმიანობა და ზიანი მიადგა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს;(რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსის 153-ე მუხლი - დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდება სამუშაო დღეების გაცდენასთან დაკავშირებით;

⁸⁷ მოსამართლე 247 სამუშაო დღიდან სამსახურში არ იმყოფებოდა 72 დღე;

⁸⁸ მოსამართლემ თავმჯდომარე მოატყუა, თითქოს იმყოფებოდა ექიმთან მიღებაზე, რაც გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა;

⁸⁹ რამაც გამოიწვია 5 საქმის განუხილველად დატოვება;

⁹⁰ რითაც ზიანს აყენებდა სასამართლოს ავტორიტეტს;

⁹¹ მოსამართლეები სისხლის სამართლის საქმეებს იხილავდნენ მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით, რასაც შედეგად მოსდევდა მათ მიერ გამოტანილი განაჩენების გაუქმება;

⁹² ავტოსაგზაო შემთხვევისას, რასაც შედეგად მოჰყვა მძღოლისა და მგზავრის გარდაცვალება, ასევე, ორი მოქალაქის სხეულის დაზიანება, ერთერთ ა/მანქანას მართავდა მოსამართლე, რომელიც არ დაემორჩილა სამართალდამცავების

132. მოსამართლე არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ა/მანქანას, რასაც შედეგად მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევა და ორი პირის სხეულის დაზიანება;⁹³
133. მოსამართლემ არაერთგზის დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რითაც საფრთხე შეუქმნა ფეხით მოსიარულე პირებს;⁹⁴
134. ერთ-ერთმა მოსამართლემ მისი თავმჯდომარეობის დროს ინტერნეტსაიტზე ატვირთა და გავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელიც სახელს უტეხდა სასამართლოს ავტორიტეტს;⁹⁵

XXVII. მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა

135. მოსამართლე ეწეოდა კომერციულ საქმიანობას;⁹⁶

XXVIII. სხვადასხვა

136. მოქალაქეთა რეგისტრაციის ჟურნალის ფალსიფიკაცია.⁹⁷

მოთხოვნას და არ გაიარა ალკოტესტი, რის შემდეგაც მოსამართლე გაუჩინარდა ნარკოლოგიური დისპანსერიდან (მოსამართლე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში);

⁹³ არ გამოიძახა სასწრაფო დახმარება, ცდილობდა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. თვითმხილველთა განმარტებით მოსამართლეს პირიდან ამოსდიოდა ალკოჰოლის სუნი, დადიოდა ბარბაცით;

⁹⁴ მოსამართლე თავისი კუთვნილი ა/მანქანით დადიოდა ბორდიურზე, სადაც მუდმივად იმყოფებოდნენ ქვეითად მოსიარულეები, რომელთაც გადაუკეტეს მას გზა და მისი ქმედება გადაიღეს ვიდეოზე, ხოლო შემდეგ აღნიშნული ფაქტი გამოქვეყნდა მასმედიაში; (ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი, რუსეთის კონსტიტუციის 23-ე მუხლი - მოსამართლე ყველა სიტუაციაში უნდა გაუფრთხილდეს თავის პატივსა და ღირსებას, თავიდან აირიდოს ყოველივე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მოსამართლის რეპუტაციას);

⁹⁵ ვიდეოჩანაწერში მოსამართლე საუბრობდა მასზე გავრცელებული ზეწოლის შესახებ;

⁹⁶ მოსამართლე, მისი მეუღლე, ასევე, მოსამართლის მამა იყვნენ ერთერთი კომპანიის დამფუძნებლები; მოსამართლე ამ კომპანიიდან იღებდა გარკვეულ შემოსავალს;

⁹⁷ რეგისტრაციის ჟურნალში უკანა თარიღით გააკეთა ჩანაწერი, თითქოსდა მასთან, როგორც თავმჯდომარესთან, მიღებაზე იმყოფებოდა სხვა მოსამართლე, რომელმაც მიმართა მას თავმჯდომარის მოადგილის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შესახებ;